განმარტებითი ბარათი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გამოვლენილ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი

ნორმატიული აქტის მიღება განპირობებულია „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების რეალიზაციის საჭიროებით, რაც გულისხმობს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ცალკეულ სამართალდარღვევებზე რეაგირებასა და ოქმების შედგენას.

კერძოდ, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 239-ე მუხლის 4[4] ნაწილის თანახმად, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გამოვლენილ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51^1 მუხლის პირველი ნაწილით, 51^2 და 51^4–52-ე მუხლებით, 53^1 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2, 54-ე, 54^1 და 55^1 მუხლებით, 55^4 მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, მე-60, 60^3, 61-ე, 63-ე და 63^1 მუხლებით, 64^1 მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66^1 და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 72^1 მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე, 76-ე და 85^1–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი-მე-9 და მე-13-21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89^3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 104-ე და 128^2 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია ან მერის მიერ უფლებამოსილი პირი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის #ბ132. 132250921 ბრძანებით, ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 429327196);

ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელია დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შემუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ასევე ნორმატიული აქტის მიღებით განისაზღვროს სამართალდარღვევის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.

ნორმატიული აქტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

პროექტით მტკიცდება არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გამოვლენილ ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმის ფორმა, ასევე აღნიშნული ფორმის შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (შემდგომში – წესი), რომელიც თავის მხრივ

განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ პროცედურებს. აქტის დანართის სახით ასევე მტკიცდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა.

იმ შედეგების საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება.

პროექტის მიღება არ მოითხოვს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას, არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაგეგმილზე მეტად ზრდას ან/და მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. გასაწევი ხარჯები დაკავშირებულია ფორმის დამზადებასთან (ბეჭდვასთან) და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან.

ოქმების შედგენის უფლებამოსილების პრაქტიკული რეალიზება გამოიწვევს ბიუჯეტში თანხების მობილიზებას ადმინისტრაციული ჯარიმების სახით, რომელთა ოდენობა, დარღვევის სიმძიმის მიხედვით, განსხვავებულია.

რაც შეეხება ეკონომიკურ ანალიზს, პროექტის მიღება გრძელვადიან პერსპექტივაში იქონიებს დადებით ეკონომიკურ ეფექტს, რადგან დასახელებულ სამართალდარღვევათა პრევენცია და აღკვეთა ამცირებს ერთის მხრივ გარემოს დეგრადაციით გამოწვეულ ხარჯებს და ამასთანავე ზრდის ლანდშაფტის ტერიტორიის ეკონომიკურ მიმზიდველობას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

აქტის მიღება არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული წარმოების პროცესის მოწესრიგება და მკაცრი აღრიცხვის ფორმების ბრუნვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ის ნეიტრალურია: პროექტით გათვალისწინებული წესები და საქმისწარმოების პროცედურები თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, მათი სქესის მიუხედავად. საქმის განხილვა მიმდინარეობს ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე, სქესისა და სხვა ნიშნების მიუხედავად. პროექტი არ შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზღუდავს რომელიმე სქესის უფლებებს ან ანიჭებს მათ რაიმე სახის უპირატესობას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე:

პროექტი არ ეხება ბავშვის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სოციალურ უფლებებს, ის არ ახდენს პირდაპირ ან არაპირდაპირ ინტერვენციას ბავშვის უფლებათა სფეროში. მათ შორის ოქმის ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცება არ აუქმებს და არ ზღუდავს კოდექსით გარანტირებულ სპეციალურ პროცედურებს, პროექტით რეგულირებული ზოგიერთი საკითხი კი (ბლანკების ბეჭდვა, შენახვა, ჩამოწერა) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შიდა ორგანიზაციულ პროცესს და თავისი ბუნებით საერთოდ არ არის მიმართული ბავშვებისაკენ, როგორც სამიზნე ჯგუფისაკენ. შესაბამისად, მისაღები აქტის ზეგავლენა ბავშვის უფლებებზე არის ნულოვანი (ნეიტრალური). პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბავშვთა უფლებრივი სტანდარტების გაუარესებას ან რაიმე სახის შეზღუდვას.

პროექტის ავტორი:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია;“

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება

წარმდგენი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი